

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო

აცხადებს კონკურსს იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის უფროსის ვაკანტურ პოზიციაზე

თანამდებობის დასახელება: იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის უფროსი

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 15.12. 2017

ყოველთვიური დასაბეგრი შრომის ანაზღაურება: 2100 ლარი

სამუშაო ადგილი: ბათუმი, მ. აბაშიძის ქუჩა N41

გამოსაცდელი ვადა: 06 თვე

ფუნქციები:

- ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას
- ახორციელებს კონტროლს სამსახურის თანამშრომლების მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის ჯეროვნად შესრულებაზე
- პასუხისმგებელია მაუწყებელში მომზადებული ყველა სამართლებრივი დოკუმენტაციის სისწორესა და გამართულ შედგენაზე
- დირექტორის დავალებით, ახორციელებს მაუწყებლის წარმომადგენლობას ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოში
- ორგანიზებას უკეთებს სახელმწიფო შესყიდვების პროცესს
- ასრულებს მაუწყებლის დირექტორისა და კურატორი მოადგილის სხვა დავალებებს (დამატებითი ინფორმაცია სამსახურებრივ ფუნქციებსა და სამსახურის სტრუქტურაზე შესაძლებელია იხილოთ ოფიციალურ ვებ-გვერდზე (<http://adjaratv.ge>) განთავსებულ სამსახურის დებულებაში)

მოთხოვნები:

- მინიმალური განათლება: ბაკალავრი
- მინიმალური სამუშაო გამოცდილება: 2 წელი
- პროფესია: იურისტი

წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

- CV
- პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი
- სამოტივაციო წერილი
- დიპლომის ასლი
- გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი
- მოსამართლის ან ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დოკუმენტი

საკონკურსო თემადიკა:

- საქართველოს კონსტიტუცია
- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია
- მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონი
- სიფყვისა და გამობატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
- საქართველოს შრომის კოდექსი
- საქართველოს საარჩევნო კოდექსი
- სახელმწიფო ქონების შესახებ საქართველოს კანონი
- სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონი
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესი
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული წესი
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 ივნისის N2 ბრძანებით დამტკიცებული წესი
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ
- მაუწყებელთა ქცევის კოდექსი
- საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსი
- საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

კონკურსის ეტაპები:

- განაცხადების გადარჩევა
- წერიტი დავალება
- გასაუბრება

დამატებითი ინფორმაცია:

1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება და აკმაყოფილებს განსაზღვრულ მოთხოვნებს;
2. დაინტერესებულმა პირმა კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადი უნდა წარმოადგინოს მხოლოდ საჯარო სამსახურის ბიუროს ოფიციალური ვებ-გვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით;
3. კონკურსი მოიცავს:
 - 3.1. წარმოდგენილი განაცხადების გადარჩევას;
 - 3.2. წერიტი დავალება - (გასაუბრებაზე - გადავა მხოლოდ ის კანდიდატი რომელიც წერიტი დავალებებში დააგროვებს სწორი პასუხების 2/3 -ს და მეტს)
 - 3.3. გასაუბრება საკონკურსო კომისიასთან;
4. დაინტერესებულ პირს კონკურსთან დაკავშირებული (დადებითი/უარყოფითი პასუხი) ინფორმაცია ეცნობებათ მითითებული ელექტრონულ ფოსტის მისამართზე;
5. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას მიიღებს განაცხადების წარმოდგენის ვადის ამოწურვიდან არა უგვიანეს სამი თვის ვადაში;
6. კონკურსთან დაკავშირებული სხვა საკითხები მოწესრიგებულია მაუწყებლის დირექტორის 2017 წლის 08 მაისის NO2-03/10 ბრძანებით დამტკიცებულ წესში (გამოქვეყნებულია <http://adjaratv.ge>);

საკონტაქტო ინფორმაცია:

საკონტაქტო პირი: გია ქარცივაძე
 მისამართი: ბათუმი, მემედ აბაშიძის ქუჩა N41
 ტელ: +995 422 274370
 ელ-ფოსტა: HR@ajaratv.ge